


წელიწადი
პირველი

4 აგვისტო.
1877 წ.



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ჩიგერის“ რედაქციასში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაღებოს წემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ჩიგერის ფასი 1877 წელს.

თბილისის, გაგზავნილ და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შე-
მოკლებს დასაბუჯდომ გამოცხადებულ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

მსურველთ შუქდლიანთ მოითხოვონ „ნივერია“ პირველის მარიამობასთვიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

საძიებელი: I. ამის ამბები. — II. საზოლიტიკო მიმო-
ხილვა. — III. ორიოდე სიტყვა აწინდელს ბოლგარია-
ზედ. — IV. ოსმალეთის საქართველო. — V. მგზავრის წერი-
ლები სვანეთზედ (შემდეგი). — VI. ბრძოლა რომის დასა-
წმინდად (შემდეგი) — VII. გაზეთებიდგან ამოკრეტილი
ამბები.

ომის ამბები.

რუსის ჯარი, როგორც მოგვსენებთ, ორჯერ
დაეცა ჰლევის, მაგრამ ოსმალს ჯარს ვერ აუვიდა და
ორჯერ დაემარცხებულა გამოვიდა, ბრძოლიდამ. ამ კვი-
რის ამბავი მოვიდა, რომ რუსები მესამედ დასტემინს,
ოსმალები დაუმარცხებიათ და ჰლევის დაუჭერიათ. თუ
ეს ამბავი, რომელიც ჯერ ოფიციალურად არ არის დამტკი-
ვებული, მართალი გამოდგა, დიდს განსაცდელს გადაჩენია
რუსის ჯარი. ჰლევის დიდი მნიშვნელობა მიეცა ამ უამად.
ოსმალებს, რომ კიდევ დაემარცხებინათ რუსის ჯარი,
მაშინ ოსმალს დიდი ძალი ჯარი ჰლევიდამ დაიკრ-
და და რუსის ჯარის შუა ნაწილს გზას გადაუჭრიდა
მეტადრე თუ შემდგომად წამოსულს ჯარს შეუერთდებო-
და. მაშინ ბაღანის მთის იქით გადასულს რუსის ჯარს
ძლიან გაუჭინდებოდა საქმე, რადგანაც სამხრეთიდგანაც
რუსეთზედ მადის სულეიმან-ფაშის ჯარი, რომელსაც
ხელმძღვრედ კანალიკი დაუჭერია (თუ ეს ამბავიც მარ-
თალი).

— თუ ოსმან-ფაშის ტელეგრამა მართალია, 26
მკათათვეს ლეჩხსთან (ჰლევის სამხრეთით) ბრძოლა გა-
მართულა, რომელშიც სამასი რუსი მოუკლავთ და შეი-
დასი დაუჭერიათ.

— გაზეთს „Новое Время“-ს შემდეგი დეპეშა
მისვლია ბუსარესტიდამ: „ტირნოვის ახლო-მხლო მად-
ლობებს ძლიან ამავრებენ; მექმედ-აღის მხედრობა რვა
საათის სვალზედ უდვას რუსის მხედრობას. რუმინის
დობრეჯასა თხოულობს ომში მონაწილეობის მიღების
სამავიეროდ“.

— ბერძნის მხედრობა ოსმალეთის სამხლვარზედ
გასულა.

— 24 მკათათვეს ოსმალს ჯარი, რომელიც ჩინ-
გილისა და ქარავან-სარაის მადლობთა შორის იდგა, წინ
წამოწეულა და სოფ. ალიკოჩას (სასლვრიდამ ათ ვერს-
ტზედ) დამდგარა ლენერ. ტრეგუკასოვის ჯარის პირდა-
პირ. ბაშბურეუქებისა და ქურთების გრევა და აგრეთვე
ბატალიონი ჯარი სოფ. ზოჩანდამ და ქუნჯოსიდამ ჩა-
მოსულან და ჩვენი მოკერავებო გაუჭერიათ. შემდეგ სოფ.
სოფოამიც (აგრეთვე ათ ვერსტზედ სასლვრიდამ) დაჭე-
რაც მოუნდომებიათ, მაგრამ დრეგუნებს არ დაუთმიათ
და უკან გაუდევნებიათ ოსმალები. ჩვენის მხრით მოუკ-
ლავთ 4 ჯარის კაცი და დაჭრილთა შორის 13 ჯარის
კაცია და ორი აფიცერი.

საზოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთის საქმეთა შესახებ ვერაფერს შესანიშ-
ნავს ვერ მოგვსენებთ, გარდა იმისა, რომ ბონაპარტი-
ელთა დასმინაც განსეთქილება ჩამოვარდა. ერთის ნაწი-

ღის მოთავე რუკი არის, მეორისა ზოლ-კასანიკი. ამ მეორე ნაწილის ბონაპარტიელთა ჭსურთ ღრუბით მაგ-მაგონთან მორიგება, რომ მით უფრო მტკიცედ დანამრ-ცხონ რესპუბლიკელები; რუკი გი აცხადებს, რომ ჩვენ ჩვენთანად ვიმჩრომთო, ნურც ნურავის რას დაუთმობ-თო და ნურც ნურავის შემწეობას გჭსთხოვთო. ამ გვარი განხეთქილება მარტო სიცილს უტებს რესპუბლიკელებს და უფრო მეტს იმედს უღვიძებს, რომ მომავალი მათი იქნება.

— ვენეციაში ამ უამად დიდი მოძრაობა ადმოსავ-ლეთის საქმის თაობაზედ. ამის წინეთ ზეშტში დიდი ურთი-ღობა გაიმართა, რომელშიაც სხვათა შორის ღენკლმა ჭლანკამც მიიღო მონაწილეობა. მიტინგმა აღიარა თავისი წინააღმდეგობა აწინდელის ომიანობის შესახებ, რომლის მსხვერპლად ბოლგარიის მშეიდი მცხოვრებნი არიან. გარდა ამისა ურთობაში გამოაცხადა თავისი წი-ნააღმდეგობა რუსეთის განძლეერებისათვის და ამოიწინა კომიტეტი, რომელმაც მთავრობას უნდა ჭსთხოვოს დაიც-ვას კანთიმოყვარეობა და ავსტრი-ვენეციის სარგებლობა.

კლანკამ სხვათა შორის ის იმედი აღიარა, რომ თუ ოსმალებმა აზიიდან გაყარეს რუსებიო, ვეროზიდა-მაც გაჭყრანო. გარდა ამისა კლანკა წინააღმდეგია ჭერ-ცეგოვინისა და ბოსნიის დაჭყრისა ავსტრიის ჯარის მიერ.

მეორე ორატორმა ჭელომ მითხრობა, რომ რუ-სეთი თუ შეიძლება დიპლომატიის მეხებით შეაყენონო თუ არა და ზარბაზნების ძალითაო.

— ამას წინედ ბრედფორდში (ინგლისში) ბრეიტმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ერთს ურთიღობაში და, სხვა-თა შორის, ადმოსავლეთის საქმის შესახებ სთქვა შემდე-გი: „ეს (ე. ი. ადმოსავლეთის საქმე) ძველი ამბავია და ძველი საფრთხეც მთქვეა და დაგვიდგა წინ. ოსმალები მათთა მეგობრების სიტყვითვე, (სიცილი, ძალიან კარგი, ძალიან კარგი!) ძალიან ცუდათ მოიჭრენ. იგინი მიწვე-ულნი იყვნენ სტამბოლის კონფერენციის წინაშე, მაგრამ აქედგან არ გამოვიდა რა, რადგანაც ვეროზას ერთი პი-რა არა ჭჭონდა. ჩემდა სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ ინგლისის პოლიტიკამ შეუძლებელი გავხდა, რომ ვეროზაში თანხმობა ჩამოვარდნილიყო. (ძალიან კარგი! ძალიან კარგი!) წინადვე უნდა გვერდნოდა, რომ თუ გი ჩვენვე არ მოვიტხოვთ კონფერენციის განკარგულების

აღსრულება, მარტონი დაჯინებოდით და ოსმალებით თავის ანაბარს დაჩებოდა. ამ განკარგულების აღსრულება რუსეთმა იკისრა. მე ერთში ვესაჩქელები რუსეთს: თუ ვეკლა სახელმწიფოთა საერთოდ და ერთი ერთმანეთის თანხმობით გაეფინენ საქმეში, ცხადია რომ ერთმა ო-მელიმე უნდა მოიყვანოს აღსრულებაში მათი საერთო განკარგულება. რუსეთი, რომელიც ოსმალეთის საზღვარ-ზედ მღებარეობს, უფრო მომეტებულად ჭკომნობს იმ ანუელობის ვნებას, რომელიც ოსმალს ქვეყანაში სუფევს; რუსეთის ხალხი თანაუგმნობს ოსმალეთის ქრისტიან-ეთ. ამ თანაგმნობას დიდი გავლენა აქვს რუსეთის მთავრობაზედ, და ამის გამო რუსეთი აღდგა ქრისტიან-თა დასაცვლად და ბოროტებისა და ანუელობის მოსას-ზობლად (ძალიან კარგი! ძალიან კარგი!) ჩვენ იმედი გვეჩ-ნდა, რომ ჩვენი მთავრობა არ ჩაეყვას ამ ომიანობაში, მაგრამ ეს არ ჩაეყვას ისეთი არ არის, როგორც იმედიც გვეჩნდა (ძალიან კარგი! ძალიან კარგი!) მაგალითად, ჩვენ ვეუბნებით რუსეთს ვკვირტეს ნუ შეეხებია, თუმიც კ-ვიპტე ეომება რუსეთს, რადგანაც ხონთარს ჯარსა და სომადლებს უგზავნის. რუსეთი, რომელსაც არა ჭსურს ინგლისთან ომიანობა, პირობას აძლევს, რომ ეგვიპტე-ში ომს არ გადავიტანო. გარდა ამისა ამბობენ, რომ რუსეთს ნებას არ მივცემთო სტამბოლს მიეკაროსო. სო-ლო თუ რუსეთს სტამბოლის დაჭყრის ნებას არ მივცემთ რა გამოვს აქედგან გარდა იმისა, რომ ომიანობას ბოლო აღარ ექმნება? (ძალიან კარგი!) ეს ოსმალეთის წახალისებაა, რომ არ შეურიგდეს რუსეთსა, რომელსაც ამით ერთმეკა უპირველესი უფლება გამარჯვებისა. უნდა აღვიაროთ, რომ მტრის სატასტო ჭალაქის დაჭყრა უკეთესი ღონის-ძიებაა საჩქაროდ ომიანობის შეწყვეტისა.

სტამბოლის შესახებ მოგახსენებთ, რომ დაწმუნე-ბული ვარ, თუ რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა ომი-ანობიდან, სტამბოლის ბედი მინდობილი იქმნება ვერო-ზიის სახელმწიფოთა საერთო განკარგულებას. ათასჯერ გამოაცხადა რუსეთმა, რომ სტამბოლის დაპყრობა არა მსურს და არც იმას შევიწინარებო, რომ სხვამ რომელიც სახელმწიფომ ჩაიგდოს ხელშიო; სტამბოლის მომავალი საპოლიტიკო ცხოვრება ვეროზიის საერთო სარგებლო-ბის მიხედვით უნდა გადაწყდესო.

გარდა ამისა დარდახელისა და ბოსფორის საქმა წამოყენებული. ეს სრუტე შეაერთებს, როგორც მოგე-ბ

სენებთ, შავსა და შუა-ზღვას (Средиземное море) იგი ძლიერ ვიწროა და მისი დატვა ორივე ნაპირიდან ადგილია, და რუსებს კი, რომელთაც შავი ზღვის გარშემო დიდ-ძალი ადგილი უზღვრიათ, ნება აქვს შავი ზღვიდან შუა-ზღვაში ან აქედან შავ ზღვაში სამხედრო ხომალდი ამუშავონ. სრუტე ყველა ხალხის ვაჭრობისათვის თავისუფალია. სრუტეს განთავისუფლება აუცილებლად მიძინია, მაგრამ იმ რიგით, რომლის დაწესებაც კონსტანტინოპოლის სახელმწიფოებს ადვილად შეუძლიანთ. ორი რამ ითქმის სრუტეს თავისუფლების წინააღმდეგ: თუ სრუტე თავისუფალი იქნება ოსმალეთი ყოველთვის შიშში იქნება რუსეთის ან სხვა რომელიმე სამხედრო ხომალდი სტამბოლს ან მიადგესო. მეორეც ესა, რომ რუსეთის ოფიცერი თუ შუა ზღვაში შევიდა, სუეცის არხს მიუხედავად და ვნებას მოკვიტანს ჩვენ ინდოეთის მხრით. მართალია, მაგრამ ავსტრიასაც და იტალიასაც შეუძლიანთ ამგვარადვე იმოქმედონ და ომი აუტყონ ინგლისს, თუ რუსეთს სუეცის არხის შეკვრას ქსწამებენ, საფრანგეთს უფრო ან უნდა შექსწამონ? (ძლიან გარკვა).

ბოლოს ბრალითა ქსტეა შემდეგი: „მე მგონია, რომ უმჯობესი პოლიტიკა ინგლისისათვის არის ნეიტრალიტეტი, არამც თუ მარტო ზნეობის მხრით არამედ საპოლიტიკო მხრითაც; გარნა ზნეობას და პოლიტიკას მე არასდროს ან ვაჩვენებ ერთი-ერთმანეთში; რაც ერთისათვის არის გარკვა, ის მეორესთვისაც გამოსადეგია.“ (ტაშის კვრა). „მე მოგასხენეთ რომ ჩვენი სახელმწიფო დიდებული იმპერიაა და დიდებულია სახელმწიფომ დიდებული და კეთილშობილი მაგალითი უნდა უჩვენოს ქვეყანას.“

— აფრიკის სამხრეთით არის ერთი ქვეყანა, რომლის სივრცე თითქმის საფრანგეთის ოდენაა. ეს ქვეყანა დასახლებულია მთლად ჭოლანდიელთ მიერ. ამ საუკუნის დასაწყისში ეს ქვეყანა ინგლისმა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ვითომ იმ მიზეზით, რომ საფრანგეთს მოგარდოყო. ჭოლანდიელი ძლიან შეწუხებული იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან და ამიტომ მათის დასამარხებლად სულ ჩრდილოეთისკენ მიიწოდნენ. წინაპირველად ინგლისიც ესმარკობდა ჭოლანდიელებს ამ საქმეში და ჯარსაც აშუქებდა; მაგრამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც ინგლისმა დაინახა, რომ ჭოლანდიელები დიდ მანძილზედ არიან ჩრდილოეთისკენ წაწეულნი,

განება მათ თავი. ბოლოს ჭოლანდიელებმა დაამყარეს აქ ორი თავისუფალი—რესპუბლიკა, რომელთა შორის ერთს უწოდებენ ტრანსკადალის რესპუბლიკას, სხვაც ამის წინად დიდძალი ბრილიანტი იშოვეს. აქ საზოგადოთმდიდარი ბუნებაა და ხალხიც დიდი შრომის მოყვარეა. წრეულ ინგლისის კოლონიის მთავრობამ დაუფიქრებელი აიღო და დაიჭინა ტრანსკადალის რესპუბლიკა—ეს ხედავთ. მე ვიცი მიზეზს ვერ იპოვიდა ინგლისის მთავრობა: ტრანსკადალის მცხოვრებნი თვითონ ვერ იმოძრაებენ ადგილობრივ მცხოვრებელს (აფრიკელებს) და დაუდგრომელი შოგოთი ჩვენ კოლონიებს აწუხებსო. ბევრი ჭეიცვს თავში ჭოლანდიელებმა, ბევრი უარი ქსტეებს საგუთარის შარლამენტისა და შრეზიდენტის შირით, მაგრამ ვერა გააწეეს რა; ჭოლანდიელებმა გამოსცხადეს, რომ ინგლისის ძალას ვერ აუვალთო. ინგლისის შარლამენტმა დამტკიცა კოლონიის მინისტრის განკარგულება ტრანსკადალის დაჩემების შესახებ.

შეიტყეს თუ არა ეს ამბავი ჭოლანდიში, მაშინვე ბიტინგები მოახდინეს სხვა და სხვა ქალაქებში და მტკიცე წინააღმდეგობა გამოუცხადეს ინგლისის მთავრობას. მოწინააღმდეგენი (რომელთა შორის ბევრი გამოჩენილი პირიც ურვეია) უცხადებენ ინგლისის მთავრობას, რომ ტრანსკადალის დაჩემება ძალადობა არისო და დარწმუნებულნი ვართო, რომ ინგლისის გაბანეთი ვერ შეიწყნარებს ხალხთა შორის უფლების ამ გვარად დატყვევასო. გარდა ამისა ჭოლანდიიდან ინგლისის მთავრობას წერილი მისვლია, რომელსაც სათურად აქვს: „მეგობრული ჩხევა.“ ამ წერილში მოხსენებულია შემდეგი: „თითქმის ასის წლის წინედ პიტრმა თვის შეცდომებით მოთმინებიდან გამოიყვანა და განარისხა ამერიკელები. ამ უმად ღორდი კვრნეკონი (კოლონიის მინისტრი) ერთს მეორეზედ უარესს შეცდომას სხადის და ბოლოს აფრიკელებს გაუწევებს ილაჟს. რა გამოვა აქედან? თავისუფალ ხალხთან ჭკუა მეგობრულს მოქცევას მოითხოვს და არა გაბორტობას და გულის ტკენას. ამერიკის მაგალითმა ინგლისის მმართველთ უნდა ჩააგონოს, რომ ხალხში დათესილი მძულავრება ადვილად არა ამოთვრება. თუ კვრნეკონი, პილის მიხედვით, დროზედ გამოიტყვის თავის პოლიტიკას, მაშინ იქნება მართლად გამოჩენილი სახელმწიფო კაცი შეიქმნას, როგორც თვითონ უიმისოდ ჭეონია.“

საუჭკო კია, რომ ინგლისმა გემრიელი ლუკმა გა-
იგდებინოს ზირიადი.

— 24 მკათათვეს აგრძელება სორვატებს დიდი მი-
ტინგი გაუმატოვო, სანაც ათასზედ მეტი კაცი დასწრე-
ბულა, მომეტებულად უმწვილი კაცები, და დიდი თან-
გრძნობა აღიარებულა სლავიანებისადმი. ამ ურილობაში
უფრო მომეტებული თანგრძნობა ფოლპეტოვისს აღუ-
ჩაეს, რომელსაც დიდი სამშობლოს სიყვარული გამოუც-
ხადებია და ბოლოს ავსტრიის იმპერატორი სორვატიის
კორწლად უხსენებია.

ერთს წევრს რუსეთის წინააღმდეგი სიტყვა უთქვამს
მაგრამ მაშინვე გაუხუქებია.

მიტინგს შემდეგი წინადადება მიუღია: ოსმალების
მოკლბელობის გაუქმება კერძაში, ბელგანის სლავიანებ
თან და რუსეთთან ერთობა, სორვატის საკორწლას აღ-
გინება და მასთან დაღმადიისა, ბოსნიისა და ჰერცეგო-
ვინის შეერთება.

ორიოღა სიტყვა აწინდელს ბოლბარიაზედ.

ჩამდენიმე წნობა ბოლგარნიის შესახებ, გგონებოთ,
ძეტი არ იქნება ამ ჟამად, რომდესაც მისი სვე-ბედი
შეადგენს აწინდელის ომიანობის დედაძარღვს. დიდ
ძალი ადგილი უჭირავთ ბოლგარნიელთ ბელგანიის ნა-
ხევან გუნბულზედ: დუნაის დაყოფებაზედ ზინდის მთე-
ბამდე (საბუნძმეთის ჩრდილოეთით) სულ ბოლგარნი-
ელნი არიან დასახლებულნი, ასე რომ მათი ადგილ-
მამული მხოლოდ იმ ადგილს კი არ შეიცავს, რომე-
ლიც დუნაის მდინარისა და ბელგანიის მთების შუა
მდებარეობს და რომელსაც საკუთრად ბოლგარნიის უწო-
დებენ, არამედ სამს ამოდუნა ადგილს. ბოლგარნიელთა
რიცხვი 4 1/2 მილიონამდისინ აღის.

ამბობენ, რომ ბოლგარნიელებმა თავისი სახელი
ძე. გოლგოდამ გადმოიტანეს, საიდანაც ზირველად
გადმოსახლდნენ უკრძაში და დაიწყეს ფრანკიელნი
და სხვ. საკვირვლად ჩქარა დაკარგეს ბოლგარნიელებმა
თავისი გვარ-ტომობა, საკუთარი ენა, ჩვეულება და
სრულიად სლავიანებოთ გადდაიქცნენ. ზოგი ამის მი-
ზეს ბოლგარნიელთ ჩვილ ბუნებაში ქსედავს, რომ-
ლის ძალითაც ბოლგარნიელი ძლიან ჩქარა ითვისებს
სხვისასა. მაგრამ ზოგი კი (მაგალით. ელ. რეკლუ)
იმ აზრისაა, რომ დამარცხებულნი სერბიელნი და გა-

მარჯვებულნი ბოლგარნიელნი ერთი-ერთმანეთში აე-
რივნენ და ამ შერეულ ხალხს სერბიელებმა მისცეს
თავისი ენა, სწეობა, საკუთარი თვისებანი და ბოლ-
გარნიელებმა—სახელი. ასეა თუ ისე ამ ჟამად ბოლ-
გარნიელნი სლავიანთ ეკუთვნიან.

აი რას იწერება ბოლგარნიელებზედ ელ. რეკლუ:
საზოგადოდ ბოლგარნიელნი სერბიელებზედ უფრო
ტანმდობაღნი არიან, მაგრამ აცბეულებიან, დიდ-თავიანი
და განიერ მხარ-ბეჭიანი. ზოგიერთთა მოგზაურები,
ბრეტონელი ლეჟანიც, ბოლგარნიელებს ძალიან ამზ-
გავსებენ ბრეტონელებს (საფრანგეთში). ზოგან, მაგა-
ლითებრ ფილიპპოპოლის ახლო-მხლო, ბოლგარნი-
ელნი თავს იწინააღმდეგებენ და მხოლოდ ერთ ნაწინავს იშ-
ვებენ, როგორც ჩინელები. ბერძნებსა და ვლახებს
სასაცილოთ ჭყავთ ბოლგარნიელნი აცბებულნი, სიბ-
რიევეს და მიუშვებდნობას სწამებენ. მაგრამ ეს მს-
ხარად აცბება სრულიად უსამართლოა. თუძცა ბოლ-
გარნიელი ისე ცოცხალი და ჭკვა ძვეეთი არ არის, რო-
გორც რუმიანიელი და ბერძენი, მაგრამ მანც კია გო-
ნობიანია. მონებამ ძალიან ცუდი შედმოქმედება იქონია
ბოლგარნიელზედ და ამიტომ იმ ალაგს, სანაც ოსმა-
ლო უფრო მომეტებულად აწუხებს და ბერძენი
ჭეველეს, იქ შესაბრალისი და მოგვალული სანახაობა
აქვს; მაგრამ ჩრდილოეთით და ოსმალებზედ შორს
სოფლებში კი, სანაც ნაკლებ ტანჯვასთან, იქ ბოლგარ-
ნიელი უფრო მსიარულია, უფრო ცოცხალი სიტყვა
ზასუხი იცის და შეძრვავ უყვარს.

ბოლგარნიელნი, ძეცადრე ბარად მცხოვრებნი,
საზოგადოდ მშვიდი ხალხია და სრულებით არ ემს-
გავსებათ თავის წინააღმდეგს, რომელთაც აიკლეს. ვიწინ-
ტის იმეკნა. ბოლგარნიელებს სრულიად არა აქვს
ბეომარის გულზვიადობა და ამზარტავება, თვით სა-
ძანს სიმღერებსაც არა მღერაინ ძეკელის დროისას და
თვისნი მამა-პაპანი თითქმის სრულიად დაწიწებულნი
ჭყავთ. მათ სიმღერებში ისტება მხოლოდ ჩვეულებ-
რივი საყოველღეო ცხოვრება, ან ჩაგრულთა ტანჯვა,
როგორც დამონებულ ხალხს შეეფერება. აწინდელი
ბოლგარნიელი არის დაბნაიელი, შრომის მოყვარე და
ტონებანი სოფლის კაცი, კეთილი ქმარი და ოჯახო-
ბის მოყვარე მამა. რაც ოსმალებს სამწღვარ გარეთ
მიწის მოხვადი გააქვს თითქმის მთლად ბოლგარნიის

გლეხის მონაგარია. ბაღკანის სამხრეთით, ესკიზაგრა-
ში ბოღკარიელთ მოჭყავთ მშენიერი აბრეშუმი და
საუკეთესო ზური მთელს ოსმალეთში. იმავე ბოღკა-
რიელებმა კანანლიკის ხეობა მდიდარ სახნავ-სათეს
ადგილად აქციეს. თვითონ ქალაქს კანანლიკს გარს
სხვევია მშენიერი კაკლის ხეები და ვარდით მოფე-
ნილი მინდვრები. აქ კეთდება ვარდის ხეთი, რომელიც
მთელს ევროპაში გააქვთ. ბოღკარიელნი, რომელნიც
ბაღკანის ჩრდილოეთით სცხოვრებენ, ხელახლობასაც
და საწვავსაც მიჭიდებენ. ყველა სოფელს თავ-თავ-
ისი სახელსწრე აქვს. ერთში დაწებს აკეთებენ, მკო-
რეში ხალიჩებს, მესამეში თიხის ჭურჭელს, და ყველგან
ეს უბრალო მუშები დიდს ხერხსა და კარგ კემოვებსა
იხევენ.

ამ მხილსა და შრომის მოყვარე ხალხს ბო-
ლოს გაუღვივდა თავისუფლების გრძნობა და ისურვა
მონების უღლიდად გამოსვლა. ზირგელად მათთა გვარ-
ტომობის დაცვა საწმუნოებაში გამოიხატა. რომელსაც
ოსმალეთი შევიდნენ მათ ქვეყანაში, რასაკვირველია,
ბევრმა ბოღკარიელმა მანქმადიანობა მიიღო. მაგრამ,
თუძნა ძეხითი დაიანებოდნენ, მაინც გულში ისევ
თავისი საწმუნოება ქქანდათ დაცული და ისევ თ-
ვისის საწმუნოებითს ჩვეულებას მისდევდნენ.

ოსმალეთის შემდეგ ბოღკანიაში დიდი მნიშვნე-
ლობა ბერძნებს აქვთ, ბერძნები უფრო მომეტებუ-
ლად ბაღკანის სამხრეთით სცხოვრებენ, ასე რომ
ყველა სოფელში ერთი ან ორი ბერძენი უსათუოდ
მოიპოვება, ბერძნები აქ ვაჭრობენ და ხელახლობენ.
თუძნა ბერძნების რიცხვი ბოღკანიაში მცირეა, მა-
გრამ მათი გავლენა დიდია, რადგანაც ძალიან ხერხი-
ანი, ცნობის მოყვარე და ერთი-ერთმანეთის შემწენი
ანია. საცა კი ორიოდ ბერძენია— ბურთი და მვიდანი
საზოგადოებაში მათია.

გულჩვილი და ადგილად ამყოლი ბოღკანის
ხალხი—ამბობს ელ. რეკლუ—რასაკვირველია ჩქარა გა-
მოივლის თავისი სხესა და ჩვეულებას ადებ-მიცემობისა
და სხვა და სხვა ძალთა გავლენისა გამო, მაგრამ
მაინც კი ხალხის ადგილსა საჭიროა. ბოღკარიელნი
ძალიან დაცემულნი ანიან მონებისაგან მუცადრე ქა-
ლაქებში. ოსმალეთის მიერ მარადამ შეურაცხყოფამ და
ზიზღობამ დასცა ბოღკანის ხალხი და მისივე თავი

მისვე შესულა. მაგრამ როგორც უნდა იყოს წარსუ-
ლი მდგომარეობა, ესლს საქმე სხვათნოვ მიდის. ოს-
მალეთს თან და თან ეგარებათ ადრინდელი გავლენა
და მნიშვნელობა. სოფლებში მიწა „რანებს“ უგარდე-
ბათ ხელში, და ქალაქებში ადებ-მიცემობა თითქმის
მთლად მათვე უზყრიათ გარდა ამისა—ეს უფრო შე-
სანიშნავია—ბოღკარიელებმა იგრძნეს განათლების სა-
ჭიროება და დაიწვეს სასწავლებელთ დაასხება, წიგ-
ნების გამოცემა და ემწავილების ევროპის უნივერსი-
ტეტებში გზავნა. ზოგიერთ მასწავლებელში, მაგალითებ
ფილიპინოვში და ბანანჯოვში ყველა სახლობამთ-
ვის ნებით ხარჯი დაიდგეს შვილების განსაზღვლად.
სტამბოლის სასწავლებლებში ბოღკარიელნი უფრო
მეტე წარმატებას იხევენ ვიდრე სხვები და ეს ნაშინია
ხალხის დიდის სიკეთისა. თუ ამ გზას აწყვა ბოღ-
კანის ტომი, აქამოდვე ისტორიის მიერ თითქმის
დავიწყებული, ხელმოკრედ გამოვა ქვეყნიერობის ან-
შანეზსედა.“

ამ უმად, როგორც მოგვსხენებათ, ბოღკარიე-
ლები ამ ანშანეზსედა რუსებს გამოჭყავთ.

ოსმალის სამართველო

ტაოს-კარი და კოლა *)

ამ ორს ნაწილზე საქართველოს საჭირო იყო
რამიე მოსხენებელიყო ჩვენს მიმდინილვაში, მაგრამ სამ-
წუხაროდ ცნობა თითქმის არავითარი არ მოიპოვება
იმას გარდა რომ ტაოსკარში მდებარეობს ოფისი და
კოლაში მდებარეობს არტანუჯი და არტანისი. ამ ქალაქებში
მცხოვრებნი მომატებულად ოსმალნი და სომეხნი ანიან,
მაგრამ გარშემო მცხოვრებს ხალხში ქართველობა გან-
შირებულია ძველის ქართველების გვარებითა. მაგალი-
თად ამ უკანასკნელ დროს სასამ რუსები არტანისს დაი-
ჭერდნენ, იქაურ მასწავლებელს სანჯასის მმართველად ყოფილს

*) 21 ნომერში სტატიაში „ოსმალის საქართველო“
შედეგი შეცდომანი უნდა გასწორდეს: 8 გვერდზე 1 სვეტში
25 სტრიქონში არის. და ს ი გ ა ნ ე ა ქ ე ს — უნდა იყოს
და ს ი გ ა ნ ე ს ე ო ბ ა ს ა ქ ე ს. — იქვე 8 გვერდზე 27 სტრიქონში
და ს ი გ ა ნ ე თ ი თ ქ მ ი ს — უნდა იყოს და ს ი გ ა ნ ე ს ე -
ო ბ ა ს თ ი თ ქ მ ი ს. 9 გვერდზე 2 სვეტში 20 და 21
სტრიქონში და იქვე სვეტში ს ი ო ნ ი ს ხ ე ო ბ ა ს ე — უნდა იყოს
და იქვე სვეტში ს ო ს ხ ე ო ბ ა ს ე.

ქართული, გვარად ორბელიანი. არტანის დაჭერის დროს ეს ორბელიანი არ დაჩქინილა. იქედით ამ ყამად იქ მყოფნი ცოტადენს ამბავს შემოიტანენ ჩვენში და რასმე ნაწივეტ-ნაწივეტად მაინც გაცოდინებენ.

ქ ა ნ ე თ ი

ჭანეთი ანუ ევროპელების სახელწოდებით ლახის-ტანი ვიწრო ზღვის ნაპირსა ჭქვიან ბათუმიდამ წადვენებით ოთხმოც და ათ ვერსის სიღრმე ვიდრე ძველ საქართველს საზღვრამდე რგინის-მალამდე. ეს რგინის ხელო სოფელ ათინას დასავლეთსა მთის ცხვირზე სახელად გემურზე ყოფილა. ვახუშტი ამბობს უკუ არს სამხრადი საქართველოსი და საბერძნეთისა.“ (გვ. 128). სიგანე აქვს ჭანეთის მთისა და ზღვის შირს შუა ათს ვერსიდამ ორმოცამდე.

სხვათა მგზავრთა და ზოგიერთ აღმწერთა აზრით ჭანები — სცხოვრებენ ბათუმიდამ თვით ტრავნიზონამდე ესე იგი 170 ვერსის წადვენებით ზღვის შირსას. ბოლოს არის ვიდრე სხვა აზრი, რომ ჭანები სცხოვრობენ აგრეთვე ზღვის შირსას ვიზილ-იბრმაკის მდინარის შემართავამდე ესე იგი ბათუმიდამ 470 ვერსამდე. ეს აზრი ევროპელების აზრია, რომელსაც ამყარებენ ჭანურის გინის მოფენასზე, საკუთარ სახელწოდებათა დაჩქინასზე. რასაკვირველია ეს ფრიად საინტერესო გამოსაგველი რამ არის მსწავლელთათვის, და უმეტესად ჩვენთვის. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა აქამომდე იმ მიჯნას იქით მხარეზე ცოტადენ ვრცლათ ამბავი რაც ვახუშტსა აქვს მოსხვედრული არ ვიცით იმის მეტი, რომ ტრავნიზონს გარშემო ჭანები სცხოვრებენ.

ჭანეთს აღმოსავლეთით და სამხრეთით საზღვრავს ჭანეთის ანუ ატანტის მთა, რომელიც კლარჯეთისა და ლაგანასგანს ჭყოფს ამ ნაწილს საქართველოსას. მთები მაღალია და უმაღლესი 1,000 ფუტამდე აუწევს, ამისაგან ძალიან დაქანებულია, ვიწრო ვიწრო ხეობანი მიჭყვებიან ნაპირამდე და მხოლოდ ზღვის შირსას წვრილ წვრილ მინდრათ იშლებიან. ამ ვიწროობისა გამო ხალხი ზღვის შირსად დასასვლებულა.

ყოველ გვარი მოსავალი მოდის ამ ვიწრო ადგილებში რაც ვი საქართველს სხვა გუთსებშია და ამას გარდა ახელსინი (ფართობსადი), ლიმონი და ზეთის სილი. მთები ტყით არის შემოსილი, მაგრამ სახნავ სათესი ადგილი ძალიან ნაკლებათ არის ვიწროობისა გამო.

ეს ვიწროობაა მიზეზი, რომ ჭანი ზღვას შეილად ვაზდობია, თავისი ბედი იმისთვის მიუხდვია ძველის დროს ფინიკიელისათა და ვაჭრობის, როგორც უსამის თვის“ ატორი ამბობს,“ ამის გამო ჭანეთის მთელი

ცხოვრება, მთელი იმისი ნამყოფი, აწყოფი და მუცხადი ბედი ზღვის შვირთებს მიაქვთ და მოაქვთო.“ უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა უცხო ქვეყნებში დადის. ამ სიარულმა ერთის მხრით საკვირვლად დასხლენა ნავ-სანდლებისა და სომადლების ტარებაში და შავს ზღვასზე შირველი მესომადლენი ვახდა. იმათს ოსტატობას და სიმარდეს შირველი ზღვაში მოსიარულე ევროპელები ჭკვირობენ. დიდს ალღევებულს ზღვაში და მერე ისიც მკისხანეს შვე ზღვაში უბრალო ხავეებსა და სანდლების ისე ატარებენ, რომ ორთქელ-მაკადა სომადლს გაუჭირდება. იშვიათადა ხდება უბედურება იმათ ხელშია. ამ გვარად საქართველო შემკული სხვა და სხვა მკავალ ვაჭრის ხელგუნებითი ნიჭით, მესომადლების ხელგუნებითაც შემკულია.

ადგილის ვიწროებამ ჭანებს მუცრე მკირფასი მხარე შესძინა ისა, რომ ვაჭრობისათვის სიარულს შეაზიან, ხალხში მოძრაი, გამბედავი და ხსლ-ხსლადი საქმის ხელის მჭიდებელი ხასიათი დაჭადა. ამისა გამო ხალხი დატავი არ არის, შირქით შემქლე და საკმაოდ მდიდარია.

შინაურობაში ჭანი ძალიან ცოტასა სთესავს სიმიდს და ფეტვს, ამ მუშაობას თითქმის მარტო ღელავაცები ასრულებენ, აგრეთვე შემას ვიდეობიან, ლიმონსა, ფართობსადს და ზეთის ხილსა ჭკრეფენ. ამ შემთხვევაში ჯათით ჭანის ღელავაცები ჩვენ მთიულის ღელავაცებსა ჭკვანან და ამოდენა შრომას ქალი არც ქართლ ვასეთში, არც იმერეთ-გურიაში და არც აჭარა—შავეთში არ ეწევა.

უმეტესი ნაწილი სულადისა, საკუთრად სიმიდი და ფეტვი ბათუმიდამ და ფოთიდამ მოაქვთ თავისთვის სახმარებლად და აგრეთვე სხვა ქვეყნებში ვასაყიდათ.

როგორც წინათ ვთქვით, ჭანები სხნათესავს არ მისდევენ, ვახუშტისგან ხსენებული ბამბა და ბრინჯი ამ ყამად არსად არ მოჭევათ. აგრეთვე შირტუტის თითქმის სრულებით არ ინახვენ, მაგალითად ცხვარი ძალიან ნაკლებათა ჭევათ, თხსს ვი ცოტა უფრო მომეტებით ინახვენ; ცხესსა და ძროხას ვერა ნახვით, ურუმს არ ატარებენ და მისგალ-მოსვლისათვის მარტო ნაგები და სანდლები (ფელეგები) აქვთ, ყველას რამდენიმე.

ცხოვრების სახსარი ჭანებისა ვაჭრობა, სანდლების ქირა და ხურობაა. მთელ ოსმადლს საქართველოში, აგრეთვე გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და სემო ქართლში—ის სახლის ამშენებელნი ისინი არიან. შავი ზღვის შირებზე ფოთიდამ სტამბოლამდე სანდლებით საქონლის მიტან მოტანა თითქმის მარტო ჭანების ხელთ არის. ვაჭრობით ჭანეთიდამ ვაჭვით ტყე, ბზა,

დომინი, ფორთოხალი და ზეთის ხილი. იმერეთიდან, გუბიადამ და სამეგრელოდან გააჩვენ სტამბოლს და მასკოს გასაყიდათ სიმილი, ღომი, აბრეშუმი, ბზა და სხვა საქონელი. ამას გარდა შავი ზღვის ნაპირის სამეგრელოდან მოყოლებული ტრანსიზონიამდე და იმას იქით სინაპსამდე ქალაქებში და სოფლებში სავაჭრო დუქნები აქვთ. დიდი ნაწილი მოვაჭრეთა გურიაში და თვით ოსურგეთში ჭანები აწიან. ერთი გარემოებაა შესანიშნავი რომ რაკი სურამს გავცილდებით შავ ზღვამდე მთელ იმერეთში მეგრელები ვაჭრობენ და ახა სომხები. ეს მეგრელები ენით იგივე ჭანები აწიან. ამ გუბანთ შავის ზღვის პირის ადგილების მოვაჭრე—მედუნენი ჭანები და მეგრელები აწიან, ესე იგი ქართველის ტომის კაცები, ეს გარემოება ამტყუნებს ჩვენში დამყარებულ აზრსა, ვითომც ქართველი დუქანზე არ გამოდგება.

ზღვის ნაპირს მცხოვრებელი ჭანები და საზოგადოთ თითქმის ხეობებშიაც დასახლებულნი მშვიდობის მოყვარენი აწიან. ტუთელი აზრია გავრცელებული ვეროპანში და ჩვენში ვითომც ჭანები ანუ ლაზები ქურდობაცნობები და მცარცელები იყვნენ. მართალია ძველ დროში ყოფილა იმათში ცარცვა—ქურდობა, როგორც სახა ორბელიანის მოგზაურობა (1719 წელს) გვიმტვიცნებს, რომ შიშველი ბარე ცხრა ჯერ გასცარცვეს. მაგრამ ამ ყამად აკაცობის სხენება აღარ არის, პირ იქით ყოველი ჭანი თუმცა მარდი მემარტი კაცია, მაგრამ ამასთანავე დაბნისელი მოვაჭრეა. ასამითვისა ავტორი ამბობს:“ გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ რომ აქ უფრო ნაკლებ არის ქურდობა და მცარცელობა, ვიდრე კავკასიის მრავალ ადგილსა. . . პატიოსნება და გეთილ მოქმედება აქ მომატებულია, ვიდრე დანარჩენ ოსმალს საქართველოში“.

სიამოვნებოთ ნახვით იმის სახლის დაბნისლურ მოწყობილებასა. სახლი შიგნიდან და გარედამ გაღვსილია და თურად გაცარცულია, აკვავლობა ღამისად დაღაკული და ისე გაშიჩვეთ სახლის მოწოდებობაც კი იცის. დედაკაცი მშენებლის შესუღვლობისა, კარგი ხელის შემწყობი და ოჯახის გამძღოლია. კაცი და დედაკაცი ტანთ ისე იმოსება როგორც გურული, მაგრამ უფრო ძვირფასის, ტანთ საცმელითა, მადი, შალი და აბრეშუმული თითქმის ყველას გააჩნია. კაცებს ნაბდის მაგივრად იტალიანური გუნკულიანი პალტო ხურავთ. ყაბალანის ნაცვლად წითელი ოსმალური ფასი. დედაკაცებს ჭკელი ტანისამოსი უყვართ.

ჭანებში წერაკითხვა ძალიან გავრცელებულია, მაგრამ სამწესროდ ჩვენდა ქართული ასოების მაგივრად არაუფრო ხმარობენ. სწორენ ღამანაკობენ ჭანურად, რომელსაც მეგრულ ენასთან მცირე განსხვავება აქვს. ქარ-

თული ენა მეგრელებზე წმინდათ იცინა. როგორც მეგრელები ორ სამ კვირასზე კარგა სწავლობენ ქართულსა, ესე ისინი და რადგანაც საქართველოში მისკლა-მოსკლა ხშირათ აქვთ, ქართული ენის ცოდნა ჭანეთში თან და თან ვრცელდება. გურულებმა და იმერლებმა ცოტადენი მცადინებობა და მოწადინება რომ იქონიონ, ჭანები ქართულ წერა კითხვასაც მალე ისწავლან.

ჭანეთი თითქმის თავისუფალი მხარე იყო ამ ოსმალურ და ათის წლის წინა დრომდე. ქართველობის ერთობის დროს ჭანეთი შემოერთებული იყო საქართველოსთან, როგორც სხვა ნაწილები. თამარ დედოფლის სასკელი იქაც ცოცხალია. როგორც თქმულობა საქართველოს ერში პირველად ქრისტიანობა აქ დახეკვა ანდრია მოციქულმა, შემდეგ მეოთხე საუკუნეში ნინო წმინდის დროს აქაც მოიფინა და გავრცელდა ქრისტიანობა. ნასყდრალი ადგილები ისე ხშირი არ არის, როგორც ლივანამაშვეთში და სხვაგან, როგორც ჩანს, ქრისტიანობას აქ ძალიან დროდ ფესვები არ გაუდგამს და ამის გამო საქართველოს ყველა ნაწილზე წინათ მაჭმადიანობა ჭანეთს მიუღია.

ამ რამდენსამე ასის წლის წინათ ჭანეთი სრულიად თავისუფალი ოსმალებისაგან თერთმეტ თემად ანუ ხეობად ყოფილა დაყოფილი. ყოველ თემს ჭეოლია ხევის თავი ხევის-ბერი (დუკები). ეს თემები და ხევის თავები ხონთქარს არ ემსახურებოდნენ, თუმცა ხონთქარი თავისის მხრით ჭანეთს იხემებდა. ხალხი უმეტესად მაჭმადიანი ყოფილა და მცირეოდენი ქრისტიანი. ამ ხევის—თავებში 260 წლის წინათ უძლიერესი სოფელი ვიცეში მცხოვრებული ყოფილა სახელად თოფნა-ოღლი. ამ თოფნა ოღლის თავისი საკუთარი ხომალდები ჭქონია და ხვანთქარის მონილი ყოფილა. ამას, ერთი ქალი საბერძნეთის მაჭმადიანისათვის მიუთხრავთ. ამ სიქემ სახელად, შინმა სიამინის სიკვდილის შემდეგ ცოლის ძეები დასოცა, ქონება და მამულები დაიხემა და ხევის თავად შეიქნა. შემდეგ ქაბას წავიდა და ამის გამო ხოჯა—შინის უწოდებდნენ. ეს კაცი თუმცა ძალიან ჭკვიანი ყოფილა, მაგრამ მკაცრი და უწყალო სასიათი ჭქონია. გადაცვლილა ამ 225 წლის წინად.

ხოჯა შინის შვილები გამჭრიახენი იყვნენ და სალხზე დიდი გავლენა ჭქონიათ. ერთი იმათგანი ტრანსიზონში ფაშად იჯდა და სოხუმდინ ზღვის პირზე ბანებლობდა. ფოთი, გონია და თითქმის სოხუმიც იმანდაყოფნა. ამას გარდა გიდეგ ორი სხვა ფაშებიც ყოფილან შინ-ოღლის გვარისანი. უგანასკელ ფაშის დროს რუსებმა ფოთი აიღეს. ამ ამბის შემდეგ შინ-ოღლის ბეგებს ხვანთქარის დალატი შესწამეს, დაუწეს დენა, მაგრამ ჭანეთში ოსმალები შემოსვლას ვერა ბედადნენ

და შინ-ოღლის გვარმა ჭანეთში ძლიერება არ დაჰკარგა. თუძცა ჭანეთის ბეგები სვანთქრის ჯარში უნდა წასულიყვნენ ხოლმე და თანასწორად ხარჯი ეძლიათ, მაგრამ ხალხს თავის მთავრად ხოჯა-შინ-ოღლის გვარი მიანდა.

შემდეგ ხანებში ჭანეთის სხვა და სხვა თემში სევის-თავები გაძლიერდნენ: ხოფაში—შაჭბენდერი, ხაჯეში—ურდან—ოღლი, კაპისტრანში—ქიბარ-აღა და ათინაში—ბატა-ოღლი. ამით დაიწყო თავის სამთავრობო მთავრობის დასაყრდენად და უფლების აღმოჩენა, ამისგან ასტყდა ისეთი დავა, რომ მთელი ჭანეთი ბრძოლის ველად შეიქნა

ამისთანა არეულობის დროს კარგი მარჯვე და მოსერსებული დრო იყო ჭანეთში სვანთქრის უფლების დამკვიდრებისათვის. ამ განზრახვით ტრანზიზონის ოსმან-ფაშამ ჭანეთის დამორჩილება მოინდომა; მაგრამ ოსმალის ჯარი საიმედო ჯარი არ იყო. ამიტომ ოსმან-ფაშამ მოიწვია აჭარის ბეგი ახმეთ ხიმშიაშვილი. ეს ამბავი 1820 წელს მოხდა. ახმეთ—ბეგმა შეჰქრობა აჭარლები, შევიდა ჭანეთში ბორჩხისა და ხსლის გზით. ტრანზიზონის მხრით ოსმან-ფაშა მივიდა. აჭარლები მოედგნენ ზღვის ნაპირს სოფლებსა, დასწვეს, აიგეს და დაჭრეს ხალხი. ჭანებს ერთი ზიჩი არა ჰქონდათ და ამიტომ წინ ვერ დაუდგნენ; ნებით არ დაუთმეს ოსმალებს თავისი მიწა-წყალი და ქონება. განსაკუთრებული მხნეობით იბრძოდნენ თურმე კაპისტრის მცხოვრებელთა შორის ჭანის დედაკაცები. აქამოდე ჭანები მოისვენებენ ამ გმირ კაცების და დედაკაცების სახელებსა. აჭარლები ეჭისი თვე დადგნენ ჭანეთში, ბეგებს სახლები დაუზრვიეს და დაწვეს რიზაში ტუტხი-ოღლის და შინ-ოღლის ვიცეში დიდი სასახლეები დაუქციეს. ერთის სიტყვით აჭარლებმა ჭანებს დაურღვიეს თავისუფლება, ოსმალური წესები შეატანინეს, ოსმალს მოხელენი მიაღებინეს და ჯარში კაცის გაყვანა დაუკეთეს. რაც კი აჭარლებს უგანასხეულ დრომდე თითონ ეჭავრებოდათ და რისაც მიღება არ უნდოდათ, სწორეთ ის მიაღებინეს ჭანებსა.

ოსმალს მმართველობამ 1820 წელს შემდეგ ჭანეთში ხელნელა შეიტანა თავისი კანონები და ამ ყამად ჭანეთი უფრო მორჩილია სვანთქრისა, ვიდრე თვით აჭარა, ლივან, და კლარჯეთი.

წინათ ბეგებს ისეთივე უფლება ჰქონდათ, როგორც ხვენს თავადებს და ყმები ჰყვანდათ. ოსმალს მმართველობამ ჭანეთში ძლიერება იმით მოიპოვა, რომ ყმები განათავისუფლდა. ახლანდელ ბეგებს ახლა არამც თუ შეიარაღებული ყმების ყოფა არ შეუძლიათ, ყოველ გვარი სახელმწიფო ხარჯი და გადასახადი უნდა გადაიხადონ და გზებზე ბეგრათ მუშაობაზედაც კი უნდა გავიდნენ. ამ გვარად ჭანეთში წოდებათა გინსხვაება არ

არის, აჭარში და შავშეთში ბეგებს მამულები მანისა აქვთ და ამით ხალხზე გავლენა არ დაუკარგავთ. ჭანეთში დიდი მამულები არ არის, რომ შემოსავალი ჰქონდეთ. აი ამის გამოთ ბეგებიც ვაჭრობენ. შინ-ოღლის ჩამომავალი ემინ-ბეგ ზღვის ზიჩის ფრინველის ბუმბლანს ტყავს გზავნიდა მარსელში ამ ხუთი ეჭისი წლის წინათ, კარგი მოგება ნახა და ახლა ხუთი სახდლის ვატრინია. ვაჭრობა და მისვლა მოსულა აქვს ბათუმს, ტრანზიზონს და სტამბოლს.

ამ ყამად ამ ჩვენს მოხსენებულ ნაწილში ასი ათასი მცხოვრებელი მეტი ითვლება და, როგორც წინათ მოვისვენეთ, ღამაზავობს ჭანურის ენით, რომელიც მეტრულ ენასთან თითქმის არცა განსხვავდება. იციან ბევრმა ქართული ენა.

მომატყუელად დასახლებული სოფლები არიან: გონია, ხოფა, ახსავე, ვიციე ათინა.

ზ. უ.

მ მ ზ ა მ რ ი ს ვ ი რ ი ლ ე ბ ი

სვანეთსკედ

(შემდეგ)

ზირველი რიცხვის მარამობისთვისა, სადამო, ჩვენ გარდა სასიამოვნოთ გავატარეთ ამ ჩვენს მეტის მღვდლის სახლში; მშვენიერი ვასშია ჰქონდა, თვისის მრავლის სტუმრებისათვის; კარგს ოთახში, რბილს ბუმბულის დომკებზე დაგვასწინა, ასე რომ, რაც ქუთაისს გამოკვსილდით ჩვენ აქამდის არა გვეჩნდა ასე ღამათიანად მომზადებული დასაძინებელი და დასასვენებელი ბინა. როგორც რომ ღრმა ძილმა დაგვასილია, უცნო რადაც ნაირი ქუთილი, ჭექა და ვაი გავლასი ატუდა ზეცაში და დაუშინა ქვეყანას საშინელი ნიაღვარი—წყობა. სუყველას გვეგონა, რომ დილას ჩვენი მგზავრობა შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც ისეთი გზები უნდა გაგვევლო, რომ ცნენს თვენი თუ წაუსსტებოდა, ვაი ჩვენი ბრალი მაშინ; ამ ჰზრით დაგვეძინა ვიდრე. მაგრამ, განსაკვირვადი ის იყო, რომ მიწას, მეორე დღეს არც კი ეტყობოდა რამე სისველე წვიმისაგან; თურმე დედა-მიწა ისე ყოფილა განურბებული და გამშმარი სხვისაგან, რომ წვიმა სუფ მიწას გაუვიდა.

*) „ივერია“ № 19.

მარამბისთვის მეორე დღეს გამოკვლად მეთ ჩვენს ჰეტორემულს თვადს თერგის და „ბუქოს“ გზას დაჯდებით; ჩვენთანვე წამოვიდა ჩვენი მღვდელი—მასპინძელი. ამ გზასვე ცოტა გაწედა მე მეორეთ არ გადავიხეე სრამში; სვანეთის შრისტავის ცხენმა რანაირათაც და როგორღაც გზასე ნაგდებ გეტს თუხი დაადგა, ავირავდა ეს კეტი და შიგ მუტელს, ერთ მტკაველზედ შეეცრა ცხენსა; ერთმა ჩვენმა ჩათვრმა თავი ვერ მოაჩინა ხის ტოტსა, და ტოტმა ისეთი ტყუაშანი გადაინა, რომ სულ ზიზისსიდან სისხლი ადენინა; ჩვენი მღვდელიც ცხენიდან გადამოკარდა და თავისი ანაოფრას ნაგუწინაგუწით გაისია. ამ გვარი შემთხვევები გიდეკ ბუერნი რამ მოხდა და მღვდელმა სულ ქაჯებს და ეშმაკებს მიასწრა, ვითამც ამ ადგილებში დახინაგებულებს. მაგრამ მანცა და მანც მშვიდობიანათ მიკვდით, იმავე საღამოს. სოფელს „ბუქოს“.

სოფელი „ბუქო“ ანუ „ბუქო“, მდებარებს ჩქარის მდინარის „ჭალას შირსედ, რომელიც ამ სოფლიდან შიდა ვერსტზედ გამოდინარებს მთა „უუბის“ მუდამის თოვლის ძირიდან; მისი სათავე სოფლიდან ძალიან კარგათა სხანს, რომელიც განიერის ზოლით—გამოცტის თოვლის ძირიდან. სოფლის გარშემო ტყეანი მთებია, და შიგა და შიგ ბუჩქლების სახანაგი მიწები და მშვენიერი საბაღსებები და სათივეები; თვით „ბუქო“ წარმოადგენს დიდ ჭლას 150 საყენი სიგანით და ერთი ვერსტი სიგით. ამ „ბუქოს“ უკანამხარეს, ცოტა მალეობზედ, მთის გვერდობზედ მდებარებს თვით სვანების „ბუქო“, რომელიც რუსის რატის შტაბ-კვარტირას რომ ეძინან, გადაჭყურებს. სვანებზე სოფელს რაღაცა ბნელი, მოწყენილი შესწევლობა აქვს, თავისი დაბალი ხის სასლებითა, ერთმანეთთან მიკრულის და ერთ ჯგუფათ მოგროვილის შენობებითა.

ამისთანა ხამს ადგილებში, და თითქმის ველურს ხალხს შუა, რომელნიც მიუკარებელს მთებში არიან გადაგდებულნი ქუთაისიდან თითქმის 400 ვერსტზედ, უგანასენელს ადგილიდან სვან მონანს რაიმე ცივილიზაციის ყოფა-ქცევა, აქა, ბუქოს, უცხოთ გვეჩვენებოდა ჩვენ. საღდათების ნახვა, მათი რიგზედ სიარული, მათი დოღების ყოველს საღამოს და დილას ხმა, მათის მკვლელების გაცვლა-გამოცვლა, და აფიცრების ნახვა, მშვენიერი და ღამისი ორი საღდათების კასარებებისა, ორი აფიცრების სასლებსა და შრისტავის ნახვა, მისი სასლითურთ,

სულ უცხოთ გვეჩვენებოდა, გვეჩთარებოდა აქა, ამ ადგილას, სვან ეს ჭეშმარიტი ნახვა ჩვენს აფიქსსა და ჭაზრს—როგორღაც არ ეთანხმებოდა. სული და გული წყუბდა, მაგ საღდათების გულისთვის—თუ, რომ ბედმა, მაგათ, აქ ყოფნა მიანთა? თუ—თვითან ველური სვანებან შეწუება მაგათგან, რომ ამათ იმათი ტვინი, და თავისუფალი სინჯისდე, ცხოვრება, ყოფა-ქცევა—შეავიწროვებს—ეს არ გინი. მაგრამ, ორივე ერთად, ვერ ეთანხმებოდნენ ჩვენს თვალში; აქა, თითქმის ჩვენს თვალთან, ყოველს ჟამს, ჩვენ ვხედავდით იმასა, რასაც ვხედავდით ჩვენს ქალაქებში სვან ჯარის არის, და აქვე გვერდით, სხვა სულ სხვა მდგომარეობასა, უთანხმურს მდგომარეობასა. ეს გრძობა ხშირად გვაწიწებდა ჩვენ, რომ სვანეთის შუაგულში გიყავით!

